

CS návod k použití	LT naudojimo instrukcija
DE Gebrauchsanweisung	LV LIETOŠANAS PAMĀCĪBA
DK BRUGSANVISNING	NO BRUKSANVISNING
ES INSTRUCCIONES DE USO	PL instrukcja użytkowania
ET KASUTUSJUHEND	PT instruções de utilização
FI KÄYTTÖOHJEET	RU ИНСТРУКЦИИ ПО ЭКСПЛУАТАЦИИ
FR notice d'utilisation	SV BRUKSANVISNING
EL οδηγίες χρήσης	SK návod na použitie
HU használati útmutató	SL NAVODILA ZA UPORABO
IT ISTRUZIONI PER L'USO	TR KULLANIM TALİMATLARI
JA の使用説明書	EN INSTRUCTIONS FOR USE ქართ. გამოყენების ინსტრუქცია

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ და მოვეპყროთ TEMPUR-MED® პროდუქტს. უსაფრთხო და სათანადო გამოყენების უზრუნველსაყოფად გთხოვთ, გაეცნოთ აღნიშნულ სახელმძღვანელოს პროდუქციის გამოყენებამდე და შეინახოთ ის შემდგომი გამოყენებისთვის.

TEMPUR-MED® პროდუქცია კლასიფიცირებულია, როგორც 1-ლი კლასის სამედიცინო მოწყობილობა, და ფლობს CE მარკირებას MDR (EU) 2017/745-ის შესაბამისად.

პროდუქტით გამოწვეული სერიოზული ინციდენტის შემთხვევაში, შეატყობინეთ მწარმოებელს და მომხმარებლის ქვეყანაში მოქმედ შესაბამის ორგანოს.

მწარმოებლისათვის ინციდენტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას გთხოვთ, ინციდენტზე ანგარიში საგარანტიო პირობებზე საჩივრის სახით წარადგინოთ სახელმძღვანელოს პუნქტში „საგარანტიო პირობები“ მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად.

სიმბოლოები

პროდუქტზე, შეფუთვაზე, ან წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებულია შემდეგი სიმბოლოები.

 მწარმოებელი	 წარმოების თარიღი	 პარტიის ნომერი	 CE მარკირება 1-ლი კლასის სამედიცინო მოწყობილობა MDR (EU) 2017/745-ის მოთხოვნების შესაბამისად.
 სამედიცინო მოწყობილობა	 ↑UP პროდუქტის საორიენტაციო გამოყენება ამოზეჭდილი ლეიბზე/მატრასზე	 ვერტიკალურად	 გამოყენებისთვის იხილეთ, ინსტრუქციები
 საგანს გააჩნია ბუნებრივი რეზინის ლატექსი პროდუქტში აგებული მასალის სახით	 მომხმარებლის რეკომენდირებული წონა	 მოარიდეთ ღია ცეცხლს	 ტენიანობის ზღვარი
 შეინახეთ მშრალ მდგომარეობაში			

ინფორმაცია უსაფრთხოების თაობაზე - გაფრთხილებები და სიფრთხილის ნორმები

წინამდებარე გამოყენების ინსტრუქციაში გაფრთხილებები და სიფრთხილის ნორმები ილუსტრირებულია შემდეგი სიმბოლოებითა და განმარტებითი ტექსტით:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ წინამდებარე ინსტრუქციის დაუცველობამ შეიძლება მიგვიყვანოს ადამიანის კრიტიკულ დაშავებამდე, ან პროდუქტის დაზიანებამდე.

	გაფრთხილება	ყურადღება გაამახვილეთ ისეთ სიტუაციებსა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიკვდილი, ან კრიტიკული დაზიანება.
	ყურადღება	ყურადღება გაამახვილეთ ისეთ სიტუაციებსა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის საშუალო, ან მსუბუქი დაზიანება.
	მნიშვნელოვანი	ყურადღება გაამახვილეთ ისეთ სიტუაციებსა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტის, ან სხვა ქონების დაზიანება.

მიზნობრივი გამოყენება

TEMPUR-MED® პროდუქცია გამოიყენება მოზრდილებში წყლულების/ნაწოლების რისკის პრევენციის, ან შემცირებისათვის.

TEMPUR-MED® პროდუქტი გამოიყენება 150 კგ-მდე წონის მქონე პირებში გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (მაგ: გარკვეული ტიპის ინვალიდის ეტლების ბალიშების შემთხვევაში).

მნიშვნელოვანია, რომ უმოძრაო მდგომარეობაში მყოფი მომხმარებლები მუდმივად იცვლიდნენ პოზიციას.

TEMPUR-MED® პროდუქტის ასორტიმენტი განკუთვნილია საავადმყოფოებისთვის, სამედიცინო დაწესებულებებისთვის (მაგალითად მოხუცებულთა თავშესაფარისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისთვის) და სახლში მკურნალობის დროს.

პროდუქტის აღწერა

TEMPUR-MED® ასორტიმენტი მოიცავს ლეიბებს, მატრასებს, ბალიშებს, პოზიციის დამაფიქსირებელი საშუალებები, ასევე პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია სტომატოლოგიური სავარძლებისთვის, საოპერაციო ოთახებისათვის და სკანერებისთვის.

TEMPUR-MED® პროდუქცია შედგება შემდეგი შემადგენელი ნაწილებისაგან:

- პენოპლასტი, რომელიც შეიცავს ვისკო-ელასტიური წნევის გადანაწილების TEMPUR® ქაფ-მასალას
- პოლიურეთანის შეუკავებლობის შალითა

შალითები

TEMPUR-MED® შეუკავებლობის შალითები წარმოებულია წყალგამტარი, გასაჭიმი, ჰაერ-გამტარი, პოლიურეთანის მასალისგან, რაც TEMPUR® ქაფის მასალას სუნთქვის საშუალებას აძლევს.

შემადგენელ მასალაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად - იხილეთ პროდუქტის ეტიკეტი, რომელიც მოთავსებულია შალითის შიგნით.

TEMPUR-MED® -ის შერჩეული პროდუქციისთვის, შეუკავებლობის შალითები ხელმისაწვდომია, როგორც შეკერილი, ასევე შედუღებული ფორმით. შეკერილი პროდუქტი განკუთვნილია ისეთი გარემო პირობებისთვის, სადაც დაბალია რისკი სითხეების/სხეულის სითხეების წარმოშობის (მაგ: პალატების და დღის ცენტრების უმეტესობა). შედუღებული ვერსიები განკუთვნილია გარემო პირობებისთვის, სადაც მაღალია სითხეების/სხეულის სითხეების რისკი (მაგ: საოპერაციო ოთახები).

მდგრადი/არა სრიალა შალითა

შერჩეული TEMPUR-MED® პროდუქცია ფლობს მდგრად/არასრიალა საფარს ქვედა მხარეს, რათა არ მოხდეს მათი გასრიალება გამოყენების დროს.

არასრიალა/მდგრადი თვისება ხელშეუხებელი რჩება შალითის გარეცხვის შემდეგაც.

TEMPUR-MED® პროდუქტის შეფუთვის გახსნა და მონტაჟი:

მნიშვნელოვანი: პროდუქტის გახსნის დროს გაუფრთხილდით არ გახვრიტოთ, ან არ დააზიანოთ შალითა.

შეფუთვის გახსნის შემდეგ პროდუქტმა შესაძლებელია მცირე სუნი გამოყოს. აღნიშნული სურნელი სავსებით უვნებელია და ხანმოკლე პერიოდის შემდეგ ქრება.

გადაზიდვის დროს, შედარებით დიდი ზომის საგნების შალითები შეიძლება დაიდრას საწყისი პოზიციიდან. შეფუთვის გახსნის შემდეგ, პროდუქტი შეათბეთ და გაუთანაბრეთ გარემო ჰაერის ტემპერატურას, შალითა შეიძლება უკან დააბრუნოთ საწყის პოზიციასზე ხელის მეშვეობით.

მნიშვნელოვანი: არ გაშალოთ დახვეული TEMPUR-MED® მატრასები ცივ პირობებში, ვინაიდან არსებობს ქაფის მასალის დარღვევისა და გაბზარვის რისკი. პროდუქტის ტემპერატურა უნდა გაუთანაბრდეს ოთახის ტემპერატურას სანამ მოხდება მისი გაშლა.

TEMPUR-MED® პროდუქციის გამოყენება

 **გაფრთხილება:** ყურადღება მიაქციეთ შეზღუდული მოძრაობის მქონე მომხმარებელთა მოძრაობას მატრასზე, ლეიბზე და/ან ბალიშზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ადამიანის დაზარალება.

მკაცრად არის აკრძალული პროდუქტის გამოყენებისას საწოლში მოწევა.

 **გაფრთხილება:** ხანძრის რისკი: პროდუქტი მოარიდეთ ღია ცეცხლს.

 **ყურადღება:** TEMPUR-MED® პროდუქტის გამოყენებამდე დარწმუნდით, რომ პროდუქტი განკუთვნილია მომხმარებლისთვის და შემოთავაზებული საყრდენი ზედაპირისთვის (მაგ: ლოგინის საყრდენი, სავარძლის ზედაპირი).

 **ყურადღება:** მომხმარებლები მუდმივად უნდა იცვლიდნენ პოზიციას.

 **ყურადღება:** რეკომენდირებული გამოყენება საწოლის ზეწართან ერთად პირდაპირ მატრასზე/ლეიბზე და ბალიშის პირიან ბალიშებზე.

არ გამოიყენოთ ლეიბი, პლედი, პლასტმასის ფირფიტები, ან მსგავსი ტიპის პროდუქტი TEMPUR-MED® პროდუქტსა და მომხმარებელს შორის. არ გამოიყენოთ ბოთლები ცხელი წყლით, ან ელექტრო ლეიბი TEMPUR-MED® პროდუქციასთან ერთად. აღნიშნული ტიპის პროდუქციამ შესაძლოა მავნე გავლენა იქონიოს, ან შეამციროს წნევის გადანაწილების თვისებები და აქედან გამომდინარე დაეცემა კლინიკური სარგებლის ხარისხიც.

 **ყურადღება:** მნიშვნელოვანია, რომ არ იყოს განთავსებული უცხო ობიექტი, საწოლის ზეწარი, არ აღინიშნებოდეს ნაკეცი, მომხმარებელსა და TEMPUR-MED® პროდუქტს შორის, ვინაიდან აღნიშნულმა შესაძლოა გაზარდოს ნაწოლების/წყლოების გაჩენის რისკი წნევის შედეგად.

 **ყურადღება:** გაითვალისწინეთ, რომ ბასრ საგნებს და აღჭურვილობას შეუძლიათ დააზიანონ საფარი/შალითა, რაც გამოიწვევს სითხის პენოპლასტის მასალაზე მოხვედრას. სითხე დააზიანებს Tempur® პენოპლასტის მასალას, რაც მავნე გავლენას მოახდენს, ან შეამცირებს პროდუქტის წნევის განაწილების თვისებას და აქედან გამომდინარე დაეცემა კლინიკური სარგებლის ხარისხიც.

არ ჩასვით ბასრი ობიექტები შალითაში, ან პროდუქტში (უსაფრთხოების სარკები, შპრიცები, სკალპელები, ან მსგავსი ობიექტები)
არ ჩასვით ბასრი საგნები პროდუქტის ობიექტებზე (პაციენტის აწევის ძელი, IV ძელი, ან მსგავსი აღჭურვილობა).

 **ყურადღება:** დარწმუნდით, რომ ლეიბები და მატრასები განთავსებულია დაბეჭდილი გვერდით ვერტიკალურად. აღნიშნულ პროდუქციაში TEMPUR® წნევის განაწილების ქაფის მასალა ძირითადი მასალის ზედა მხარეზეა განთავსებული.

 **ყურადღება:** დარწმუნდით, რომ ინვალიდის სავარძლის ბალიშები და სხვა სავარძლების ბალიშები განთავსებულია ზედა მხარეს ვერტიკალურად: დარწმუნდით, რომ TEMPUR-MED® -ის ლოგო პროდუქტზე დაბეჭდილია თავდაყირა მიმართულებით.

 **ყურადღება:** მატრასის სახელურები მხოლოდ მატრასის წონას უძლებს მათ ასაწევად მაგალითად: საწოლის მომზადების დროს.

 **ყურადღება:** რენტგენის გამოსხივების შემსუბუქება (სკანერის ლეიბები/მატრასები)

TEMPUR® ქაფი არის მაღალი სიმკვრივის მასალა, რომელსაც შეუძლია შეამსუბუქოს დასხივება. რენტგენის დასხივების შემსუბუქება დაახლოებით 1,4 მმ ექვივალენტურია მმ TEMPUR® ქაფის მასალის ერთ სმ-ზე.

მნიშვნელოვანი: TEMPUR-MED® მატრასების განთავსება უნდა ხდებოდეს ვენტილაციის მქონე ბაზაზე, მაგალითად: ზამბარებზე, ან ფიცრებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მატრასში ტენიანობის დაგროვება.

მნიშვნელოვანი: შალითები მუდმივად უნდა შემოწმდეს ხომ არ აღენიშნება ნახვრეტები, ან ნახევები, რათა თავიდან იქნას აცილებული TEMPUR® ქაფის მასალის დაზიანება.

მნიშვნელოვანი: არ გადაკეცოთ, ან მოღუნოთ, ან დააწვეთ ძალით TEMPUR-MED® -ის პროდუქტს, რათა აღნიშნულმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს TEMPUR® ქაფის მასალის დაზიანება.

წმენდა და ტექნიკური უზრუნველყოფა

მნიშვნელოვანი:

შალითები მუდმივად უნდა შემოწმდეს ხომ არ აღნიშნება ნახვრეტები, ან ნახევები, რათა თავიდან იქნას აცილებული TEMPUR® ქაფის მასალის დაზიანება. შალითა უნდა ჩანაცვლდეს ახლით იმ შემთხვევაში, თუ მასზე აღნიშნული ნახვრეტები, ან ნახევები, ან ცვეთის ნიშნები აშკარად შესამჩნევია ვიზუალურად.

მნიშვნელოვანი:

- არ გარეცხოთ TEMPUR® ქაფის მასალა.
- არ მოახდინოთ TEMPUR® ქაფის მასალის ორთქლით, ან ქიმიურად წმენდა.
- არ მოახდინოთ TEMPUR-MED® პროდუქციის ავტოკლავირება.
- არ დაამუშაოთ TEMPUR-MED® პროდუქცია ოზონით, ულტრა იისფერი განათებით, ან იონიზაციით.

მნიშვნელოვანი:

- TEMPUR-MED®-ის ყველა პროდუქტი მუდმივად უნდა განიავდეს, რათა ტენიანობა სრულად იქნას თავიდან აცილებული.

შალითების წმენდა

შალითების გასარეცხად გთხოვთ, იმოქმედოთ პროდუქტის ეტიკეტზე მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც შალითის შიგნით არის განთავსებული.

შალითები შეიძლება გაიწმინდოს მსუბუქი საპნიანი ნაზავით, ან საავადმყოფოს დეზინფექციის საშუალებით, რომელიც შეიცავს: 70% ეთანოლს, ან 0,1 % ნატრიუმის ჰიპოქლორიტს.

შალითები სრულად უნდა გაშრეს გამოყენებამდე, ან შენახვამდე.

მნიშვნელოვანი: არ გამოიყენოთ ფენოლის ბაზაზე დამზადებული საწმენდი ხსნარები, მათეთრებელი ან სხვა აბრაზიული მასალები.



ყურადღება: გარეცხვის შემდეგ, დარწმუნდით, რომ ლეიბის/მატრასის შალითა ჩანაცვლებულია ახლით პენოპლასტის მატრასის/ლეიბის გვერდზე დაბეჭდილი საორიენტაციო პირობების შესაბამისად. TEMPUR® ქაფის მასალა, რომელიც უზრუნველყოფს წნევის განაწილებას მხოლოდ გულარის ზედა მხარეზეა განთავსებული.



ყურადღება: ქაფის შრეების მქონე სავარძლის ბალიშების/შალითების გარეცხვის შემდეგ გთხოვთ, გაითვალისწინოთ პენოპლასტის გულარის ორიენტაცია, როდესაც პროდუქტის ხელახალი აწყობა ხდება. TEMPUR® -ის ქაფის მასალა, რომელიც წნევის ხელახალ განაწილებას უზრუნველყოფს მხოლოდ გულარის ზედა მხარეზეა განთავსებული.

ტრანსპორტირება, მოპყრობა და შენახვა

 **ყურადღება:** მატრასის სახელურები მხოლოდ მატრასის წონას უძლებს მათ ასაწევად მაგალითად: საწოლის მომზადების დროს.

TEMPUR® ქაფის მასალის ვისკოელასტიურობის გამო, ორივე მატრასი და მატრასის დახვეული შალითები შეიძლება მცირედით შევკუმშოთ ტრანსპორტირების, ან შენახვისთვის. ოთახის ტემპერატურაზე მოკლე დროით გაჩერების შემდეგ პროდუქტი დაუბრუნდება თავის ნორმალურ ზომას.

არ მოკეცოთ, ან დააწვეთ TEMPUR-MED® პროდუქტს ისე, რომ დააკარგვინოთ თავისი პირვანდელი ფორმა, ვინაიდან ამითი რისკის ქვეშ აყენებთ TEMPUR®-ის ქაფის მასალას.

- შეინახეთ მშრალ გარემოში (მაქსიმალური 65% ფარდობითი ტენიანობა).
- გაწმენდილი პროდუქტის გამოყენებამდე ან შენახვამდე დარწმუნდით, რომ პროდუქტი სრულად მშრალია.
- მატრასები უნდა ინახებოდეს იდეალურად სწორ ზედაპირზე ორიგინალ შეფუთვაში.
- მატრასების შალითები უნდა ინახებოდეს სწორად, ან დახვეულ მდგომარეობაში.
- ბალიშები და პოზიციის განმსაზღვრელი პროდუქტები უნდა ინახებოდეს ხელუხლებელი ფორმით.
- არ დაალაგოთ TEMPUR-MED -ის პროდუქტებზე სხვა საგნები შესანახად, ვინაიდან იწვევს ქაფის მასალის დეფორმაციის საფრთხეს.

TEMPUR-MED® პროდუქციის ხელახალი გამოყენება

Tempur-MED® პროდუქტები სავსებით გამოდგება განმეორებითი გამოყენებისათვის. პროდუქტის ვარგისიანობის ვადა დამოკიდებულია გამართულობაზე და გამოყენების ინტენსივობაზე.

განმეორებით გამოყენებამდე პროდუქტი უნდა შემოწმდეს და გაიწმინდოს. გთხოვთ, იხილოთ, წინამდებარე სახელმძღვანელოს პუნქტი „გაწმენდა და ტექნიკური უზრუნველყოფა“.

განადგურება

TEMPUR-MED® -ის თქვენი პროდუქტის გასანადგურებლად გთხოვთ, მიმართოთ თქვენს ადგილობრივ დისტრიბუტორს, რომელიც თქვენი ქვეყნის ბაზარს ამარაგებს აღნიშნული პროდუქტით. განადგურებამდე პროდუქტი უნდა გაიწმინდოს, რათა თავიდან იქნას აცილებული დაბინძურების რისკი.

პროდუქტის ტექნიკური ინფორმაცია

სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტები

 **გაფრთხილება:** ხანძრის რისკი: მოარიდეთ პროდუქტი ღია ცეცხლს

TEMPUR-MED® პროდუქტი	სახანძრო უსაფრთხოება
მატრასი, ლეიბის შალითები	EN 597-1 (სიგარეტის ტესტი), EN 597-2 (ასანთი)
მატრასები, ლეიბის/მატრასის დასაფენი (ცეცხლგამძლე ვარიანტი)	BS 7177 საშუალო საფრთხის შემცველი: EN 597-1 (სიგარეტის ტესტი), EN 597-2 (ასანთი) BS 6807 (Crib V) BS 5852 (Crib V ქაფზე)
ბალიშები და პოზიციის განმსაზღვრელი პროდუქცია (დაპრესილი და გრანულირებული შემავსებელი მასალით)	ISO 12952-1 (სიგარეტის ტესტი), ISO 12952-2 (ასანთი)
ბალიშები და პოზიციის განმსაზღვრელი პროდუქცია, დაპრესილი (ცეცხლგამძლე ვარიანტი)	ISO 12952-1 (სიგარეტის ტესტი), ISO 12952-2 (ასანთი) BS 5852 (წყარო 5 ქაფზე)
ბალიშები და პოზიციის განმსაზღვრელი პროდუქცია გრანულირებული შემავსებელი მასალით (ცეცხლგამძლე ვარიანტი)	ISO 12952-1 (სიგარეტის ტესტი), ISO 12952-2 (ასანთი) BS 5852 (წყარო 2 ქაფზე)

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მოთხოვნისთანავე.

ლატექსი

TEMPUR-MED® -ის გარკვეული პროდუქცია წარმოებულია TEMPUR® -ის ქაფის მასალის შრეებისაგან ზედაპირზე, ხოლო წებოვანი მასალისაგან, რომელიც შეიცავს ლატექსს შრეებს შორის.

გთხოვთ, შეამოწმოთ პროდუქტის ეტიკეტი შალითის შიგნიდან, რათა იხილოთ შეიცავს თუ არა თქვენს მიერ შეძენილი პროდუქტი ლატექსს.

TEMPUR® ქაფის მასალა და შალითა არ შეიცავს ლატექსს.

რენტგენის გამოსხივების შემსუბუქება (სკანერის მატრასები)

რენტგენის გამოსხივების შემსუბუქება დაახლოებით 1,4 მმ TEMPUR® -ის ქაფის მასალის ერთი სმ-ს ექვივალენტურია.

პროდუქტის გაბარიტული ზომები და წონა:

TEMPUR-MED® პროდუქტი სხვადასხვა ზომებით არის ხელმისაწვდომი. ასევე შესაძლებელია მომხმარებელზე მორგებული ზომების გათვალისწინება. პროდუქტის წონა დამოკიდებულია პროდუქტის ზომაზე. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მოთხოვნისთანავე.

მწარმოებელი



Dan-Foam ApS
Holmelund 43
5560 Aarup
Denmark

*Dan-Foam ApS is a subsidiary of TEMPUR-Sealy International, Inc

საგარანტიო პირობები

პენოპლასტი	პროდუქტის საგარანტიო ვადა	რას მოიცავს საგარანტიო პირობები
მატრასები, ლეიბის დასაფენები, და სკანერის დასაფენები	7 წელი	გაუმართავი მუშაობის ან არასათანადო მასალებით გამოწვეული დეფექტები და ცვლილებები, რომლებიც იწვევს TEMPUR® ქაფის მასალაში 2 სმ-ზე მეტ ხილულ გამოუსწორებელ ჩაღრმავებას.
ძირითადი მატრასები	3 წელი	გაუმართავი მუშაობის ან არასათანადო მასალებით გამოწვეული დეფექტები და ცვლილებები, რომლებიც იწვევს TEMPUR® ქაფის მასალაში 2 სმ-ზე მეტ ხილულ გამოუსწორებელ ჩაღრმავებას.
ბალიშები, პოზიციის განმსაზღვრელი პროდუქცია, დაპრესილი გულარი	3 წელი	გაუმართავი მუშაობის ან არასათანადო მასალებით გამოწვეული დეფექტები და ცვლილებები, რომლებიც იწვევს TEMPUR® ქაფის მასალაში 2 სმ-ზე მეტ ხილულ გამოუსწორებელ ჩაღრმავებას.
ბალიშები გრანულირებული შემავსებელი მასალით	3 წელი	გაუმართავი მუშაობის ან არასათანადო მასალებით გამოწვეული დეფექტები
შალითები	პროდუქტის საგარანტიო ვადა	რას მოიცავს საგარანტიო პირობები
PU შალითები	3 წელი	გაუმართავი მუშაობის ან არასათანადო მასალებით გამოწვეული დეფექტები
ძირითადი მატრასები PU შალითებით	2 წელი	გაუმართავი მუშაობის ან არასათანადო მასალებით გამოწვეული დეფექტები

გთხოვთ, შეამოწმოთ შესაბამისი საგარანტიო ვადები იმ ქვეყანაში, სადაც მოხდა აღნიშნული პროდუქტის შესყიდვა, ვინაიდან შესაძლებელია ქვეყნებს შორის არსებობდეს გარკვეული სხვადასხვა საგარანტიო ვადები და პირობები.

საგარანტიო პირობები არ ფარავს ჩვეულებრივ ცვლილებებს სიმკვრივეში, ან იმ მახასიათებლებში, რომლებიც არ ახდენენ გავლენას პროდუქტის წნევის გადანაწილების მახასიათებლებზე. საგარანტიო პირობები ძალაშია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ TEMPUR-MED® პროდუქტი გამოიყენება, იწმინდება და უზრუნველყოფილია წინამდებარე სახელმძღვანელოში მითითებული მიმართულებების შესაბამისად.

საგარანტიო პირობები არ მოქმედებს:

- იმ შემთხვევაში, თუ TEMPUR-MED® პროდუქტი შეცვლილია, ან რესტავრირებულია
- იმ შემთხვევაში, თუ გამოყენების ინსტრუქცია, წმენდის და ტექნიკური უზრუნველყოფის სამუშაოების არ ყოფილა განხორციელებული სათანადოდ.
- პროდუქტი განზრახ, ან დაუდევრობის შედეგად იქნა დაზიანებული, გადაჭრილი, დამწვარი, წყლით იქნა დაზიანებული, ან ნებისმიერი მესამე მხარის მიერ იქნა არასათანადოდ გამოყენებული.

დილერისათვის, ან TEMPUR-MED პროდუქტის სხვა ავტორიზებული დისტრიბუტორისათვის საჩივრის წარდგენა ხდება უშუალო პროდუქტის შემსყიდვლის მიერ ქვეყანაში, სადაც აღნიშნული შესყიდვა იქნა განხორციელებული.

საჩივრის შემთხვევაში, საჩივარს შესყიდვის მტკიცებულების სახით თან უნდა ახლდეს ორიგინალი ინვოისი.

პროდუქტის დაბრუნება არ განხორციელოთ TEMPUR-თან, ან დილერთან წინასწარი შეთანხმების ან შესაბამისი ინსტრუქციების გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი საგარანტიო პირობების შესაბამისად არის რესტავრირებული, ან ახლით ჩანაცვლებული, საწყისი საგარანტიო პერიოდის გახანგრძლივება არ ხდება.

გარანტია არ ახდენს გავლენას მომხმარებლის კანონიერ უფლებებზე შესაბამისი კანონის თანახმად, არამედ პირიქით მიზნად ისახავს მომხმარებლის უფლებების სრულყოფას საჭიროების მიხედვით.